„დამტკიცებულია”
ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის:
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
ბრძანება: N01-07-09/ვ. 24.11.2017 წ

„შევიდა ცვლილება”
2021 წლის 30 ივნისი N01-03/14 ბრძანებით
2024 წლის 05 მარტის N01-03/03 ბრძანებით

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში ,,ტბელის უნივერსიტეტი“) აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში „პროგრამა“) შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს.

2. „პროგრამა“ (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

3. „პროგრამის“ დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობას ღებულობს დარგის აკადემიური პერსონალი, დარგის სამეცნიერო პერსონალი (არსებობის შემთხვევაში), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, ინსტიტუციები, პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტების, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს.

4. „პროგრამის“ შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ,,ტბელის უნივერსიტეტის“ აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, აკადემიური პერსონალი. სხვა დაწესებულებიდან მოწვევის შემთხვევაში დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი. „პროგრამას“ შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს: სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს (დარგობრივი მახასიათებელი, ავტორიზაციის სტანდარტი, აკრედიტაციის სტანდარტი), „ტასუ“–ს მისიას და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების – სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალის (არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის შეხედულებებს, კვლევის ანალიზს.

6. „პროგრამას“ განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს ,,ტბელის უნივერსიტეტის“–

ს რექტორი.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს და ითვალისწინებს ,,პროგრამაში'' ასახული შედეგების მიღწევას, სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულისათვის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.''

2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს, ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი საფეხურის შესაბამისი ხარისხის მიღწევას.

3. „პროგრამის" თავფურცელი უნდა ითვალისწინებდეს ,,ტბელის უნივერსიტეტის" სრულ სახელწოდებას; პროგრამის შესაბამისი ფაკულტეტის დასახელებას; უმაღლესი განათლების საფეხურს; საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას; მისანიჭებელი აკადემიური ხარისხს/კვალიფიკაციას (ქართულად და ინგლისურად); პროგრამის მოცულობას კრედიტებით; პროგრამის ხელმძღვანელს; პროგრამის განხორციელების ვადას; პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ არსებული შიდაინორმატიული დოკუმენტის რეკვიზიტებს.

4. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო პროგრამა მზადდება შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. იგი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 300 კრედიტს, რომლის შესრულების შემდეგ პირს ენიჭება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი (*დამატებით იხ.: „მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03.01.2018 წლის №08 ბრძანება*).

5. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

   5.1. <u>სწავლების ენა</u> - სწავლების ენა არის ქართული. „პროგრამის" უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

   5.2. <u>პროგრამის მიზანი</u> - უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და მიმართული იყოს სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებისაკენ; პროგრამის აქტუალობა დასაბუთებული უნდა იყოს შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით,

   5.3. <u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</u> - უნდა მიეთითოს, როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა, რა წინაპირობები არსებობს პროგრამაზე დასაშვებად,

   5.4. <u>პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა</u> – აღნიშნული პუნქტი გულისხმობს „ტასუ"–ში სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის ფარგლებში, კონკრეტულ პროგრამაზე მისაღები რაოდენობის მითითებას.

   5.5. <u>სწავლის შედეგები</u> - სწავლის შედეგი სამ ძირითად საკითს უნდა პასუხობდეს: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი კომპეტენციებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

   5.6. <u>სწავლის შედეგების რუქა</u> – სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების, მისაღწევი

დარგობრივი მახასიათებლების რუქა, თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით.

5.7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - უნდა აღიწეროს „პროგრამით“ დაგეგმილ შედეგთან თავსებადი სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სადაც გათვალისწინებული იქნება დარგის სპეციფიკა;

5.8. სწავლის შედეგების შეფასება - ითვალიწინებს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებსა, შფასების რუბრიკასა და გეგმას, შეფასების ვადებს;

5.9. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა - უნდა აღიწეროს შეფასების ზოგადი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოცემული პროგრამისათვის ადეკვატური შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები (სხვადასხვა სასწავლო კურსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს შეფასების მეთოდების სხვადასხვა კომბინაციას, დეტალური ინფორმაცია მოდულის/სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილ შეფასების მეთოდებზე უნდა აღიწეროს კონკრეტული კურსის სილაბუსში),

5.10. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) – „პროგრამის“ სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. „პროგრამის“ კომპონენტებს შორის უნდა იყოს ლოგიკური კავშირი, რომელთა ერთობლიობა იძლევა საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება: ა.) სახელწოდება; ბ) მოცულობა კრედიტებით; გ) სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიულ საათებში). „პროგრამის“ სასწავლო გეგმას უნ- და დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს „პროგრამის“ ყველა სასწავლო კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის „პროგრამების“ფორმები იხ. დანართი 1 და 2);

5.11. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი აქტივობის (პრაქტიკა, საბაკალავრო დონის კვლევიტი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი, სემინარი და სხვა) დეტალური აღწერა,

5.12. პროგრამას უნდა დაერთოს: სასწავლო კურსების სილაბუსები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ; ინფორმაცია (CV) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ; პროგრამის დამტკიცების აქტი.

6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში (გარდა რეგულირებადი სპეციალობის პროგრამისა) ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის საერთო მოცულობიდან არანაკლებ 5 კრ. უნდა დაეთმოს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, მაგალითად: „კვლევითი რეფერატი“ ან სხვა სახის კვლევით კომპონენტს სპეციალობაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეიძლება ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და შეისწავლოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით. ეს შეიძლება იყოს უნივერსისიტეტში მოქმედი „პროგრამიდან“ აღებული დამატებითი სპეციალობის საგნები, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან.

7. საგანმანათლებლო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს არჩევით კურსებს და სტუდენტს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა მოახდინოს ძირითადი და დამატებითი/არჩევითი კურსების არჩევის შესაძლებლობა.

8. დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა წარმოადგენს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და გამიზნულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განსავითარებლად.

8.1. დამატებითი სპეციალობის პროგრამა 60 კრედიტის ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ სტრუქტურას: პროგრამის დასახელება, მოცულობა, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, ცოდნის შეფასების სისტემა, სასწავლო გეგმა.

9. დამატებით სპეციალობაზე დასარეგისტრირებლად სტუდენტი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს. თუ დამატებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება პროგრამით გათვალისწინებულ კონტინგენტს, ფაკულტეტის მიერ განისაზღვრება პროგრამაზე დაშვების პირობა. დამატებით სპეციალობაზე სტუდენტის დაშვების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი, დეკანის წარდგინებით.

10. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისთვის და ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% უნდა დაეთმოს რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

11. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კვლევით კომპონენტს და უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 25%-ს.

12. „პროგრამის“ შემადგენელი კომპონენტი ანუ სასწავლო კურსი (სილაბუსის რეკომენდირებული ფორმა იხ. დანართი 3) უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - 12.1. სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება,
    - 12.2. სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი,
    - 12.3. ავტორი/ავტორები, აკადემიური თანამდებობა ან კვალიფიკაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, საკონსულტაციო დღე,
    - 12.4. სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი,
    - 12.5. სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება),
    - 12.6. სასწავლო კურსის ფორმატი
    - 12.7. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა
    - 12.8. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები
    - 12.9. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
    - 12.10. სასწავლო კურსის შინაარსი
    - 12.11. სწავლა–სწავლების მეთოდები
    - 12.12. შეფასების კრიტერიუმები
    - 12.13. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა

მუხლი 3. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა (შემდგომში „ინდ. გეგმა“ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სასწავლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება კონკრეტულად მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს ამ შესაძლებლობების განვითარებას, კვალიფიკაციის დაუფლების გზით.

2. „ინდ. გეგმის“ შემუშავება ხდება საჭიროების მიხედვით, სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისი ინდივიდუალური მახასიათებლისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით. „ინდ. გეგმა“ და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში ამ სტუდენტის

შეუფერხებელ ინტეგრირებას.

3. „ინდ. გეგმა“ შეიძლება შემუშავდეს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) არის პირი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება. სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაში მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობა სწავლის პროცესში ან სწავლის სირთულეები, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც არ შეუძლია სპეციალური დახმარების გარეშე.

5. „ინდ. გეგმის“ შემუშავების მიზნით აკადემიური პერსონალი ეცნობა სტუდენტის საჭიროებებს, მის შესაძლებლობებს და მიღებული შედეგების გათვალიწინებით ადგენს შესაბამის განსაზღვრავს „ინდ. გეგმისა“ და სასწავლო კურსების მიზნებს, ამოცანებს, განხორციელების პროცედურას და ა.შ. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების მოთხოვნები.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა გულისხმობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას.

2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით ფაკულტეტზე იქმნება პროგრამის სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედის ჯგუფის ხელმძღვანელი (დამტკიცების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი). ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე საგანმანათლებლო საფეხურის ერთზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევს შესაბამის სამუშაოებს. ჯგუფის წევრები განისაზღვრება კოლეგიალობის პრინციპის მიხედვით. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

3. საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები ითვალისწინებს პროგრამის აქტუალობის დასაბუთებას, რომელიც ეყრდნობა: შრომის ბაზრის კვლევას, პოტენციურ დამსაქმებელთა წინადადებებს, დარგის სხვა აქტუალურ მოთხოვნეს, უნივერსიტეტის საჭიროებებს და ა.შ. აღნიშნულ მონაცემთა საერთო ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებულად დადასტურებული უნდა იყოს პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა დარგის, უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

4. პროგრამის სამუშაო ჯგუფი წერილობით წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობისა და საჭიროების შესახებ დასკვნას, რომელსაც უნდა ახლდეს ყველა თანმხლები მასალა, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა დასკვნა. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს აღნიშნულ დასკვნას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ჯგუფი იწყებს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

5. ახალ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს „ტბელის უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს. პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

6. „ტბელის უნივერსიტეტში“ საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის სტანდარტებისა თუ სხვა

დარგობრივი მახსიათებლების გათვალისწინებით, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიმუშავებს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. „პროგრამას“ უნდა ახლდეს სასწავლო კურსების სილაბუსები. „პროგრამა“ უნდა ითვალისწინებდეს: დასაქმების ბაზრის კვლევას, კურსდამთავრებულთა მზაობის კვლევას, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს (მატერიალურ–ტექნიკური და ადამიანური რესურსები). ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად პროგრამის განხილვებში მონაწილეობს „ტბელის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე „პროგრამა“ დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს.

7. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს რესპუბლიკის ან/და რეგიონის მასშტაბით არსებული წარმატებული, ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების რაობა, ასევე პროგრამის სამუშაო ჯგუფმა, შესაძლებლობისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, უნდა გაეცნოს და გაითვალისწინოს შესაბამისი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაც.

8. პროგრამის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი):
   ა) „ტბელის უნივერსიტეტი“-ში პროგრამის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი. რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ– ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.
   ბ) პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ იღებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.
   გ) პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და ხარისხის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და საკითხები. მას ევალება რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
   დ) პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე,
   ე) პროგრამის კოორდინატორი (ხელმძღვანელი) პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.
   ზ) პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.
   თ) ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს სწავლების ერთი საფეხურის მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარება/მოდიფიცირების და შეჩერების/გაუქმების პროცედურები

1. „ტბელის უნივერსიტეტში” მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს და ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

   1.1. სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგი,

   1.2. ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი

აკადემიური პერსონალის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვები,

1.3. სტუდენტთა აკადემური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი,

1.4. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს „პროგრამის“ სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი მასალის ექსპერტიზას,

1.5. საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელსაც განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და „პროგრამაში“ ცვლილებების განხორციელების მიზნით სათანადო მასალებს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები აისახება „პროგრამის“ თვითშეფასების ანგარიშში.

3. პროგრამის მოდიფიცირება შესაძლებელია მისი განვითარების ან/და სხვა რომელიმე ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნის მასში ასახვისა თუ გათვალისწინების მიზნით.

4. პროგამის მოდიფიცირებისას გათვალიწინებული უნდა იყოს:
   4.1. შრომის ბაზრის მოთხოვნები, მაგალითად: დამსაქმებლებისა თუ პოტენციური დამსაქმებლების აზრი, შრომის ბაზრის კვლევები და სხვა მსგავსი დოკუმენტები;

   4.2. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მასალების ანალიზის შედეგები;

   4.3. სტუდენტთა გამოკითხვის მასალების ანალიზის შედეგები და ასევე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;

   4.4. აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

   4.5. ასევე შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის გამოცდილებები.

5. პროგრამის მოდიფიცირების შესახებ საკითხს ამზადებს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და შედეგები წარედგინება აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამის მოდიფიცირების საჭიროების ცნობის შესახებ.

6. საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერება/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს „ტბელის უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭო. ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველი უნდა იყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების თუ სხვა სახის მონაცემები.

ს ა ს წ ა ვ ლ ო გ ე გ მ ა																	
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება							კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						
				ლექცია	პრაქტიკული	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
	სპეციალობის ძირითადი საგნები																
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები																
	თავისუფალი კომპონენტი																
	საუნივერსიტეტო საგნები																

დანართი 2

მაგისტრატურის სასწავლო გეგმა													
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება						კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				ლექცია	პრაქტიკული / პრაქტიკა	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
	სასწავლო კომპონენტი												
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები												
	სამაგისტრო ნაშრომი									30	30	30	30
	სულ												

დანართი № 3

სილაბუსის
ნიმუში

სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება	ზუსტი დასახელება
სასწავლო კურსის / მოდულის სტატუსი	საჭიროა ფაკულტეტის, საფეხურის, სემესტრის, საგანმანათლებლო პროგრამის მითითება და აღნიშვნა, სავალდებულოა კურსი თუ არჩევითი
ავტორ(ებ)ი	ინფორმაცია კურსის სწავლებაში ჩართულ პირთა შესახებ - პროფესორი/მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტის დასახელება, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი), საკონსულტაციო დრო
სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები	აღიწეროს მოკლედ და მკაფიოდ, სწავლის შედეგებთან კავშირში
კრედიტებისა და საათების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის, განკუთვნილი საათების რაოდენობის მითითებით.
სწავლების ფორმატი	საათების კვირეული განაწილება: პრაქტიკული, ლაბორატორიული, ჯგუფური მუშაობა, სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა და ა.შ.
დაშვების წინაპირობები	მიეთითოს კონკრეტული სასწავლო კურს(ებ)ი, რომლის ათვისებაც სავალდებულოა მოცემული სასწავლო კურსის შესასწავლად, ან მიეწეროს - "წინაპირობა არ აქვს"
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	
უნარი	
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი	სასურველია სილაბუსს დანართის სახით ცალკე ახლდეს : ლექციების, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ჯგუფში მუშაობის და სხვა აქტივობების თემატიკა ლიტერატურისმითითებით
სწავლების/სწავლის მეთოდები	სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, დეტალურად უნდა აღიწეროს ის საშუალებები, რითაც მიიღწევა დასახული მიზანი და კომპეტენციები

ცოდნის შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები
(„ტბელის უნივერსიტეტი"-ში მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ იხ. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი")

შეფასების კომპონენტები და მეთოდები	რაოდე–ნობა	შეფა–სება	ქულათა ჯამი (სულ)	შეფასების ჩატარების დრო	შეფასების კრიტერიუმები
მიმდინარე შეფასება – 60 ქულა					

დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა

სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტების მიხედვით, მიუთითეთ შეფასების კრიტერიუმების ქულათა მაჩვენებელი, მაგალითად თეორიული, ზეპირი ან/და სხვა დავალებების შეფასება
5 ქულიანი სისტემით

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:

- შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა.

სტუდენტის საბოლოო შეფასება:

<u>დადებითი შეფასებები</u>:

ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა;
ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

<u>უარყოფითი შეფასებები</u>:

ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0–40 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ძირითადი ლიტერატურა	მიეთითება ყველა ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც გამოიყენება სასწავლო კურსის შესწავლისთვის. მითითებული ლიტერატურა უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
დამხმარე ლიტერატურა	მიეთითება შინაარსში გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ ბიბლიოთეკაში არ არსებული დამატებითი ლიტერატურა და სხვა რესურსი